რობესპიერის სიტყვა

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

ინსტრუქცია:

გაეცანით წყაროს და პასუხი გაეცით ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

ყურადღება: თითოეული შეკითხვის შეფასების ქულა მოცემულია შეკითხვის ბოლოს (სულ 10 ქულა)

..... <u>სიტყვა</u>

საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად განვაახლოთ ეს დამყაყებული ადმინისტრაცია. თუ ადმინისტრაციაში სუსტი პიროვნება აღმოჩნდება, ეს არ გამოიწვევს ისეთ დიდ უბედურებას, როგორც მასში შეთქმულებისა და მეტად საეჭვო ადამიანების არსებობა. დროის დაკარგვა ძალიან სახიფათოა.

შესაძლოა ტულონი აღებულია. ხმა ამის შესახებ უკვე გავრცელდა. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ეს ინფორმაცია არ არის სავსებით ზუსტი და შესაძლოა მის სისწორეში ეჭვი შევიტანოთ; მაგრამ დავუშვათ, რომ ეს მართალია. ტულონის დაცემა რესპუბლიკისათვის დიდი უბედურება იქნებოდა, მაგრამ განა ამის გამო უბედურებას უნდა მივეცეთ? ჩვენ ტულონის გარეშეც გავიმარჯვებთ და ამას მოწმობს ჩვენი წარმატება სხვა რაიონებში. მარსელი უკვე პატრიოტთა ხელშია, ბორდო პატიებას ითხოვს, რესპუბლიკის ჯარების შეტევის შედეგად დაეცემა ლიონი. ჩრდილოეთის, რაინისა და მოზელის არმიები ბრწყინვალე მდგომარეობაშია. დიუნკერის დამცველებმა ფიცი დადეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავენ ქალაქს. ხალხს ერთი სურვილი ამოძრავებს - დაიცვას სამშობლო! დაე გვწამდეს, რომ მტრის წარმატებები ეფემერულია და თავისუფლება გაიმარჯვებს.

რაც შეეხება სურსათს, ჩვენ გამოვცემთ ჭკვიანურ, მაგრამ სასტიკ კანონებს, რომლებიც ხალხს საარსებო საშუალებით უზრუნველყოფს. ეს კანონები საბოლოოდ გაანადგურებს გადამყიდველებს, გაითვალისწინებს ხალხის მოთხოვნებს, აგვაცილებს შეთქმულებებსა და მოღალატეთა მცდელობებს, არსებული შიმშილობის გამოყენებით ხალხი ააჯანყონ. თუ მდიდარ ფერმერებს სურთ, რომ ხალხის წურბელები იყვნენ, ჩვენ თავადვე გადავცემთ მათ ხალხს. თუ ჩვენ ძალიან ბევრი წინააღმდეგობა შეგვხვდება მოღალატეების, შეთქმულებისა და გადამყიდველების განადგურების საქმეში, მაშინ ჩვენ ხალხს მოვუწოდებთ, რათა ის თავად გაუსწორდეს მათ. მაშ, გავერთიანდეთ და ერთ მუშტად შევიკრათ! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მტერი ცდილობს ჩვენ შორის უნდობლობა დათესოს. არაკეთილმოსურნეები, გარეწრები უერთდებიან საფუნთუშეებთან რიგში მდგომ ადამიანებს და თავიანთი საუბრებით აღელვებენ მათ. ისინი ხალხში შიშსა და განგაშს თესენ, არწმუნებენ, რომ სურსათის დეფიციტი დაიწყება. მათ სურთ ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირება, სურთ ხალხის კონვენტისათვის, იაკობინელებისა და პატრიოტებისათვის დაპირისპირება, ამ უკანასკნელისათვის ყოველგვარი უბედურების დაბრალება, რის ჭეშმარიტი მიზეზები თავად არიან.

წერილობითი წყაროს ანალიზის შაბლონი

<u>ავტორი</u>

- ვინ არის წყაროს შემქმნელი? (1 ქულა)

<u>მსოფლმხედველობა</u>

- როგორია წყაროს ავტორის მსოფლმხედველობა და თვალსაზრისი მის მიერ აღწერილი მოვლენების მიმართ? (1 ქულა)

<u>დრო და ადგილი</u>

- როგორ მოქმედებს ამ კონკრეტული წყაროს შექმნის დრო (1 ქულა) და ადგილი (1 ქულა) მის შინაარსზე?

აუდიტორია

- ვისთვის შეიქმნა ეს წყარო (1 ქულა) და როგორი გავლენა შეეძლო მოეხდინა მას იმდროინდელ ადამიანზე/საზოგადოებაზე (1 ქულა)?

მიზეზი

- რა იყო ამ წყაროს შექმნის მიზეზი/მიზეზები? (1 ქულა)

ძირითადი იდეა

- რა ძირითადი იდეა/იდეებია გადმოცემული წყაროში? (1 ქულა)

<u>მნიშვნელობა</u>

- რამდენად მნიშვნელოვანია წყარო (1 ქულა) და რატომ არის მნიშვნელოვანი? (1 ქულა)?